ISSN 1512-1801

გაცვლითი პროგრამების წვლილი სტუდენტების ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებაში თსუ-ს მაგალითი

თეა გერგედავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ)
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, დოქტორანტი
საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ERASMUS+ ICM პროგრამის
ინსტიტუციური კოორდინატორი თსუ-ში

რეზიუმე

ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის (international Credit Mobility/ICM) პროგრამა, რომელიც ევროპისა და სხვა ქვეყნებში სტუდენტური და პროფესიული გაცვლების შესაძლებლობას იძლევა, მიზნად ისახავს სტუდენტების პროფესიული და პიროვნული უნარების გაძლიერებას. ამ სტატიაში განხილულია ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის წვლილი სტუდენტების ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებაზე. კვლევა მიმოიხილავს იმ უნარებს, რომლებიც სტუდენტები იძენენ ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის მონაწილეობით და რომელიც, აძლიერებს მათ კონკურენუნარიანობას გლობალურ შრომის ბაზარზე. მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რომლიც თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების (სიღრმისეული ინტერვიუების და თვითადმინისტრირებული კითხვარის) გამოყენებით იქნა მიღებული, შედეგებმა აჩვენა, რომ მობილობაში მონაწილე სტუდენტები განსხვავდებიან მობილობაში არა მონაწილე სტუდენტებისგან, ისინი გამოირჩევიან მაღალი ტრანსფერული და პროფესიული უნარებით, რაც მათ კარიერულ და პიროვნულ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს.

საკვანძო სიტყვები: *ერასმუს+; საერთაშორისო კრედიტ მობილობა, ტრანსფერული უნარები; პროფესიული უნარები; სარგებელი/სიკეთეები.*

შესავალი

სტუდენტთა პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარება თანამედროვე განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რაც მოიცავს მათ მომზადებას შრომის ბაზრისთვის და ცვალებადი გარემოს მოთხოვნებთან ადაპტაციის შესაძლებლობას. სამეცნიერი ლიტერატურა ამ მიმართულებით გვიჩვენებს, რომ პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარება აძლიერებს სტუდენტების შესაძლებლობებს, შეიძინონ ცოდნა და უნარები, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას და სოციალური ჩართულობის გაზრდას.

ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა, რომელიც ევროპისა და სხვა ქვეყნებში სტუდენტური და პროფესიული გაცვლების შესაძლებლობას იძლევა, მიზნად ისახავს სტუდენტების პროფესიული და პიროვნული უნარების გაძლიერებას. ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა სტუდენტებს აძლევს

ISSN 1512-1801

საშუალებას, გარკვეული დროის განმავლობაში სწავლობდნენ მათი მშობლიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორ უნივერსიტეტებში, გაეცნონ სხვადასხვა კულტურას და შეიძინონ ახალი პროფესიული ცოდნა. მობილობა მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებას უწყობს ხელს (European Commission, 2020).

პროფესიული უნარები მოიცავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც საჭიროა კონკრეტულ სფეროში ან პროფესიულ საქმიანობაში წარმატების მისაღწევად. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პროფესიული უნარები ხშირად მოიცავს ტექნიკურ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, როგორიცაა:

- ✓ ტექნიკური უნარები – სპეციფიკური ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც კონკრეტული სფეროსთვისაა საჭირო;
- ✓ პრობლემების გადაჭრის უნარები – რთულ ამოცანებთან გამკლავება და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება;
- ✓ პროფესიული ეთიკა და პასუხისმგებლობა – ორგანიზაციული სტრუქტურების გაგება და ეთიკურ საკითხებზე რეაგირება.

გადაწყვეტილებების მიღებისა და პრაქტიკული უნარების განვითარება ხშირია ისეთი პროგრამების ფარგლებში, როგორიცაა სტაჟირება, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და სასწავლო პროექტები. ეს პროგრამები ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიული უნარების პრაქტიკაში გამოყენებას და ამზადებს მათ რეალურ გარემოში მუშაობისთვის.

ტრანსფერული უნარების განვითარება, სტუდენტების კარიერული წარმატების გასაღებად მიიჩნევა, რაც ერასმუს+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის მნიშველოვან სიკეთედ მიიჩნევა (European Commission, 2019).

ტრანსფერული უნარები, ან "გადატანადი უნარები", არის ისეთი უნარები, რომლებიც სხვადასხვა კონტექსტსა და გარემოში ადვილად გადადის. მათი გამოყენება შესაძლებელია განსხვავებულ პროფესიებსა და ინდუსტრიებში. ასეთი უნარები მოიცავს:

- ✓ კომუნიკაცია – სხვადასხვა კულტურულ და სოციალურ გარემოში ეფექტური კომუნიკაციის უნარი, რაც უნივერსალურია მრავალ სფეროში;
- ✓ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება – ინფორმაციის შეფასებისა და მისთვის ადეკვატური ინტერპრეტაციის უნარი;
- ✓ თანამშრომლობა და გუნდის მუშაობა – კოლექტიური მიზნების მიღწევა და ეფექტური ურთიერთქმედება გუნდთან;
- ✓ მოქნილობა და ადაპტაცია – ცვალებად გარემოში ადაპტირების შესაძლებლობა, რაც სწრაფი ცვლილებების პირობებში საჭიროა;
- ✓ ტექნოლოგიური კომპეტენციები – ციფრული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ხელსაწყოების გამოყენება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელ ციფრულ სამყაროში.

სტატიაში წარმოდგენილია კვლევის ნაწილი, რომელიც ჩატარდა სადოქტორო კვლევის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კერძოდ, მასში მოცემულია კვლევის მონაცემების ანალიზი ერასმუს+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის წვლილის შესახებ თსუ-ს სტუდენტების პროფესიული და ტრანსფერული უნრების განვითარებაში.

ISSN 1512-1801

ლიტერატურის მიმოხილვა

1. თეორიული ჩარჩო

ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარების შესწავლის მიზნით წარმოებული აღნიშნული კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ თეორიასა და კონცეფციას. ესენია: გამოცდილებითი სწავლების თეორია (Kolb, 1984), კულტურათაშორისი ადაპტაციის თეორია (Kim, 2001) და სწავლების გადაცემის მოდელი (Perkins & Salomon, 1992). ეს თეორიები ერთობლივად ქმნის სრულფასოვან საფუძველს იმის გასაგებად, თუ როგორ უწყობს ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამაში მონაწილეობა ხელს უნარების განვითარებას, პიროვნულ ზრდას და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

1.1. გამოცდილებითი სწავლების თეორია

Kolb-ის (1984) გამოცდილებითი სწავლების თეორია სწავლას აღწერს, როგორც პროცესს, რომელიც ეფუძნება გამოცდილებას. ეს თეორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამისთვის, რადგან სტუდენტები ჩართულნი არიან პრაქტიკულ სწავლაში სხვადასხვა აკადემიურ, სოციალურ და კულტურულ გარემოში. ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა აძლევს სტუდენტებს საშუალებას, გაუმკლავდნენ რეალურ გამოწვევებს, რა დროსაც იძენენ ახალ გამოცდილებას და შეითვისონ ახალი ცოდნა და უნარები პიროვნულ და პროფესიულ კონტექსტებში. Kolb-ის მიხედვით, გამოცდილებითი სწავლების ციკლი, რომელიც მოიცავს კონკრეტულ გამოცდილებას, რეფლექსიურ დაკვირვებას, აბსტრაქტულ კონცეპტუალიზაციას და აქტიურ ექსპერიმენტირებას, მჭიდროდ უკავშირდება იმ უნარებს, რომლებსაც მობილობის პროგრამა აძლიერებს, როგორიცაა ადაპტაციის უნარი, კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრა.

1.2. კულტურათაშორისი ადაპტაციის თეორია

Kim-ის (2001) კულტურათაშორისი ადაპტაციის თეორია ქმნის ჩარჩოს, რომელიც ხსნის, თუ როგორ ახდენენ ინდივიდები ახალ კულტურულ გარემოებებთან შეგუებას. ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა სტუდენტებს განაცდევინებს კულტურათაშორის გამოცდილებას, რაც მოითხოვს მათგან განსხვავებული კომუნიკაციის სტილის, სოციალური ნორმებისა და აკადემიური პრაქტიკის მართვას. ეს თეორია მიუთითებს, რომ ახალი კულტურისადმი ადაპტაციის პროცესი აძლიერებს სტუდენტების ინტერკულტურულ კომპეტენციას, გამძლეობას და მოქნილობას. ეს უნარები გადამწყვეტია გლობალიზებულ შრომის ბაზარზე წარმატებისთვის. თეორია ასევე ხაზს უსვამს ფსიქოლოგიური და სოციალური ადაპტაციის პროცესს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების პიროვნულ ზრდას და პროფესიულ მზადყოფნას.

1.3. სწავლების გადაცემის მოდელი

Perkins და Salomon-ის (1992) სწავლების გადაცემის მოდელი განმარტავს, თუ როგორ შეიძლება მიღებული ცოდნა და უნარები ერთ კონტექსტში გამოყენებული იყოს

ISSN 1512-1801

სხვა კონტექსტში. ERASMUS+-ის საერთაშორისო კრედიტ მობილობის კონტექსტში სტუდენტები იძენენ აკადემიურ ცოდნას, კომუნიკაციის უნარებს და პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს, რომლებიც გადატანადია სხვადასხვა პროფესიულ და პიროვნულ გარემოში. ეს მოდელი ხაზს უსვამს რეფლექსიური პრაქტიკისა და კონტექსტუალიზებული სწავლის მნიშვნელობას, რაც მობილობის გამოცდილების განუყოფელი ნაწილია. მრავალდისციპლინურ და მრავალკულტურულ გარემოში ჩართულობა აძლიერებს სტუდენტების უნარს, გამოიყენონ ეს უნარები მომავალი კარიერული შესაძლებლობებისთვის.

1.4. გლობალური კომპეტენცია და დასაქმება

გარდა ამისა, გლობალური კომპეტენციის კონცეფცია, რომელიც OECD-ის მიერ (2018) განისაზღვრა, ხაზს უსვამს ინდივიდთა უნარს, ეფექტურად იურთიერთონ სხვადასხვა კულტურაში. ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა შეესაბამება ამ ჩარჩოს, რადგან იგი სტუდენტებს აძლევს უნარებს, გაუმკლავდნენ კულტურული მრავალფეროვნებისა და გლობალური კომუნიკაციის გამოწვევებს. კვლევები აჩვენებს, რომ გლობალური კომპეტენცია დასაქმების კრიტიკული ფაქტორია, განსაკუთრებით ურთიერთდაკავშირებული სამყაროს კონტექსტში (Crossman & Clarke, 2010).

2. კვლევები ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის როლის შესახებ:

2.1. ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის როლი ტრანსფერული უნარების განვითარებაში

ტრანსფერული უნარები მოიცავს ისეთ უნარებს, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა პროფესიულ და პიროვნულ გარემოში. ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის მონაწილეები სწავლობენ კომუნიკაციას მრავალკულტურულ გარემოში, პრობლემების ეფექტურად გადაჭრას და გუნდურ მუშაობას. ჯონესის კვლევამ აჩვენა, რომ საერთაშორისო გამოცდილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტების კრიტიკული აზროვნებისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებაზე (Jones, 2017).

კვლევების (González et al., 2020; Teichler, 2017) მიხედვით, ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობა აძლევს სტუდენტებს უნიკალურ შესაძლებლობას, განავითარონ ტრანსფერული უნარები განსხვავებულ კულტურულ, აკადემიურ და სამუშაო გარემოში ყოფნით (González et al., 2020). საერთაშორისო მობილობა აძლიერებს არა მხოლოდ სტუდენტების ენობრივ უნარებს, არამედ ზრდის მათ დამოუკიდებლობასა და კულტურულ შეგნებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც მათი პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარებთვის და თვითდამკვიდრებისთვის, ასევე გლობალიზებული შრომითი ბაზრისთვის (Teichler, 2017). საერთაშორისო გამოცდილების გავლენა სტუდენტების პიროვნულ განვითარებაზეც აისახება, რადგან ახალი გარემოებები მოითხოვს სწრაფ ადაპტაციას და ცვლილებების მიღებას.

2.2. პროფესიული უნარების გაუმჯობესება ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში

ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სპეციალობის გაღრმავებულ კურსებს და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც საშუალებას აძლევს მათ, გაიღრმავონ პროფესიული ცოდნა.

ISSN 1512-1801

პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დამსაქმებლებისთვის მნიშვნელოვან უნარებს, როგორიცაა დროის მენეჯმენტი, ადაპტაცია და უცხო ენების ცოდნა (Souto-Otero et al., 2019).

ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა ასევე ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიული უნარების განვითარებას, რაც გულისხმობს როგორც კონკრეტულ აკადემიურ ცოდნას, ასევე იმ პროფესიულ კომპეტენციებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე ინტეგრირებაზე; მაგალითად, ვილანოვა და პეტინო (Villanova, & Petino, 2019) მიუთითებენ, რომ პროგრამა აძლიერებს სტუდენტებს ისეთი უნარებით, როგორიცაა გუნდური მუშაობა, ანალიტიკური აზროვნება და თვითორგანიზაცია. კვლევები ასევე აჩვენებს, რომ პროფესიული კავშირების გაფართოება და საერთაშორისო გამოცდილება ზრდის სტუდენტების დასაქმების შანსებსა და კმაყოფილებას კარიერულ წინსვლაში (King & Ruiz-Gelices, 2003).

2.3. კულტურული ადაპტაცია და ინტერდისციპლინარული ტრანსფერული უნარები

განსხვავებული კულტურული გარემოს გაცნობა სტუდენტებს ეხმარება ტოლერანტობის, ემპათიის და კულტურული სენსიტიურობის განვითარებაში. ეს უნარები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია გლობალიზებული შრომის ბაზრის პირობებში, სადაც სხვადასხვა ეროვნების და კულტურის წარმომადგენლებთან მუშაობა ყოველდღიურობას წარმოადგენს (Crossman & Clarke, 2010).

ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტების კულტურულად შეგნებულ და ინტერდისციპლინარულ უნარებზე, რომლებიც ფუნდამენტურია თანამედროვე პროფესიული გარემოსთვის. სოსა და სილვა (Sosa, & Silva, 2021) მიუთითებენ, რომ საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სტუდენტები იძენენ უნარებს, რომლებიც მათთვის აუცილებელია განსხვავებული კულტურისა და სამუშაო სტილის მქონე გარემოში მუშაობისთვის. ეს უნარები მოიცავს ეფექტურ კომუნიკაციას მრავალფეროვან გუნდებთან, კულტურული განსხვავებების პატივისცემას და მათი ადეკვატურად მართვის უნარებს.

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი (სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფი) და რაოდენობრივი (გამოკითხვა-თვითადმინისტრირებული კითხვარი) მეთოდები. კვლევა დაიყო ეტაპებად:

პირველ ეტაპზე, სამაგიდე კვლევის (Desk Reaserch) პროცესში შეგროვდა მონაცემები 2016-2023 წლებში Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამით მობილობაში მონაწილე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების შესახებ.

კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა სიღმისეული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა, მონაწილეების შეფასებების საფუძველზე, მიგვეღო მონაცემები მათი დამოკიდებულებების შესახებ Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის **წვლილზე სტუდენტების პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარებაში.**

ISSN 1512-1801

თვისებირვი კვლევის პროცესში ჩატარდა 27 სიღრმისეული ინტერვიუ, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან (სხვადასხვა ფაკულტეტების დეკანები (n=5), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები (n=5), სხვადასხვა ფაკულტეტების სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურების წარმომადგენლები (n=3); და Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის მონაწილე სხვა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი); ასევე, ჩატარდა 2 ფოკუს-ჯგუფი 2016-2022 წლებში Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამით სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) ევროპულ უნივერსიტეტებში ნამყოფი სტუდენტების მონაწილეობით.

კვლევის მესამე ეტაპი იყო რაოდენობრივი კვლევა, რომლიც ჩატარდა ვარაუდით, რომ Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამაში მონაწილეობას წვლილი შეაქვს სტუდენტების პროფესიულ და ტრანსფერული უნარების განვითარებაში.

მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი.

კვლევის შედეგები და ძირითადი მიგნებები

1. თვისებრივი კვლევის ანალიზი

აკადემიურ პერსონალთან სიღმისეული ინტერვიუს და პროგრამის ბენეფიციარ სამივე დონის სტუდენტებთან ფოკუს-ჯგუფის ნარატივის ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი საკითხები სტუდენტებისთვის პროგრამის მნიშვნელობისა და სარგებლის შესახებ პიროვნულ და პროფესიულ დონეზე:

თვისებრივი მასალის ამ ნაწილში წარმოდგენილია სტუდენტების მობილობის შეაფსება როგორც პროფესორების, ასევე სტუდენტების თვალსაზრისით. როგორც კვლევის მონაწილეები აფასებენ, ამ პროგრამის სარგებელი სტუდენტებისთვის მრავალმხრივია. პროგრამაში მონაწილეობა მათ მეტ დამოუკიდებლობას, ახალი კონტაქტების დამოუკიდებლად დამყარების საშუალებას აძლევს; სტუდენტებს უყალიბდებათ სისტემური ხედვა, ეძლევათ პიროვნული და აკადემიური განვითარების შესაძლებლობა, ასევე სამშობლოსა და მასპინძელ ქვეყანაში სწავლის და ცხოვრების მსგავსებისა და განსხვავებების შეფასების საშუალება.

კვლევის პროცესში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა იმ „სარგებელსა“/სიკეთეებზე, რაც შესაძლებელია, ამ პროგრამაში მონაწილეობამ იქონიოს სტუდენტებზე. კითხვაზე, თუ რა არის ის, რითაც ბრუნდებიან მობილობიდან სტუდენტები, ცხრილში მოცემულია ნარატივის ანალიზისას მიღებული შეფასებები, როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის პერსპექტივიდან. მობილობიდან დაბრუნებული სტუდენტები არიან:

ცხრ.1. პროგრამის სარგებელი აკადემიური პერსონალის და თავად სტუდენტების პერსპექტივიდან

პროფესორების პერსპექტივიდან, სტუდენტები	**სტუდენტების ფოკუს-ჯგუფის მიხედვით, მობილობის სარგებელია**
ხდებიან მეტად რაციონალურები და ტოლერანტულები	ცხოვრების დამოუკიდებლად დაგეგმვის უნარები
მეტად ფიქრობენ მომავალში	პრაქტიკული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით

ISSN 1512-1801

განვითარებასა და თვით სრულყოფაზე	"შეიარაღება"
ხდებიან უფრო დამოუკიდებლები	სიახლეების გაზიარებისა და დანერგვის სურვილებით აღჭურვა
უმაღლდებათ სოციალური პასუხისმგებლობის დონე	კრიტიკული დამოკიდებულებების რაციონალურად გადმოცემის უნარის შეძენა
ხდებიან აქტიური მოქალაქეები	
პროფესიულად ვითარდებიან	
ხდებიან ერთობლივი სტუდენტურ პროექტების ინიციატორები	
წარმატებული სტუდენტი ნიშნავს უნივერსიტეტის ცნობადობის ზრდას	

რაც შეეხება მათ **პიროვნულ და პროფესიულ** განვითარებას, აკადემიური პერსონალი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს სწორედ ამ მიმართულებას.

*„ ბევრი პუნქტია, რასაც ჩამოვთვლიდი: **დამოუკიდებლობა, ღიაობა, უფრო მეტად გავიხსენი განსხვავებული კულტურის მიმართ, უფრო დავრწმუნდი ჩემს თავში და გადავლახე სიახლეების შიში, განვვითარდი სოციალური კუთხით.** გაცვლით პროგრამაში ყოფნის დრო უკეთ აღვიქვი ჩემი ქვეყანა და წარმომავლობა და ამით, ჩემი პიროვნებაც უკეთ დავინახე, გამიფართოვდა ხედვა და პრაქტიკაში უკეთესად ვისწავლე ენები"- **ფოკუს-ჯგუფის მონაწილე სტუდენტი***

აკადემიური პერსონალი აღნიშნავს, რომ პროგრამაში მონაწილეობა აფართოებს სტუდენტის თვალსაწიერს, აძლევს მას ახალ ცოდნას, გამოცდილებას, უვითარებს ახალ გარემოში უცხო კულტურასთან ადაპტირების უნარს; ამასთანავე, სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, სწავლობენ სტუდენტებსა და პროფესორებს შორის ურთიერთობების განსხვავებულ სტანდარტებს.

*„ სარგებელი სტუდენტის დონეზე არის ის, რომ სტუდენტი იფართოებს თვალსაწიერს. პირველ რიგში, ეუფლება ახალ ცოდნას, იღებს ახალ გამოცდილებას და კიდევ შემდგომ განვითარებაზე ფიქრდება, ერთხელ რომ მიდიან, მერე ბრუნდებიან და კიდევ უნდათ იქ დაბრუნება იმისთვის, რომ კიდევ უფრო განვითარდნენ, მყარად იყვნენ თავიანთ პროფესიაში. მთავარი არის ის, რომ ჩვენმა ქვეყანამ უნდა შექმნას საფუძველი, რომ ამ განვითარებულ სტუდენტს მოუნდეს დაბრუნება და რომ აქ განავითაროს თავისი სფერო." - **აკადემიური პერსონალი***

მნიშვნელოვანია ის, რომ ახალი გარემო და დამოუკიდებელი ცხოვრება, რაც სტუდენტს პიროვნულად ავითარებს, სძენს ისეთ ახალ უნარს, როგორიცაა განსხვავებულ გარემოში ადაპტირება, აძლევს საშუალებას, დახვეწოს სწავლის, ბიბლიოთეკაში წიგნთან, თანატოლებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ურთიერთობის უნარები.

ცხრ.2. პროგრამის სარგებელი პიროვნულ და პროფესიულ დონეზე

სარგებელი პიროვნულ დონეზე	**სარგებელი პროფესიულ დონეზე**
თვითრწმენის ზრდა	ახალი ცოდნის დაუფლება
დამოუკიდებლობა	კრიტიკული აზროვნების უნარი
ღიაობა	თვალსაწიერის გაფართოება

ISSN 1512-1801

რასობრივი,რელიგიური, ეთნიკური, გენდერული შემწყნარებლობა	მუშაობის საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა
სოციალური პასუხისმგებლობა	აკადემიურ წერაში გაწვრთნა
ენობრივი კომპეტენციების ამაღლება	ენობრივი კომპეტენციების ამაღლება
კროსკულტურული გამოცდილება	საკონტაქტო ქსელის გაფართოება

2. *რაოდენობრივი კვლევის ანალიზი*

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 355 მონაწილემ. შედეგების მიხედვით, მონაწილეთა უმრავლესობა იყო ქალი (n = 277, 78%), ხოლო 21.7% (n = 77) იყო კაცი. ერთი მონაწილემ პასუხში შეცდომა დაუშვა, რაც საერთო მონაწილეთა რაოდენობის 0.3%-ს შეადგენს

ცხრ.3. ასაკობრივი განაწილება

სქესი	**რაოდენობა**	**%**
კაცი	77	21,7
ქალი	278	78,3
სულ	355	100,0

ნახ.1 განაწილება სქესის მიხედვით



შედეგების მიხედვით, კვლევის მონაწილეთა ასაკის დიაპაზონი შეადგენს 15-დან 51 წლამდე, საშუალო ასაკი არის 21.98 (SD = 4.08). მონაწილეთა შორის 39.2%-მა (n = 139) აღნიშნა, რომ ჰქონდათ მობილობა, ხოლო 38.6%-მა ან „ჯერ არ“ ოპცია მონიშნეს ან ოპცია - „ვერ გავიარე გასაუბრება“. 22.3%-ს არც უცდია მონაწილეობა.

ცხრ.4. განაწილება ჯგუფებად

მობილობა 3 ჯგუფად	**რაოდენობა**	**%**
ვიყავი მობილობაში	139	39,2
ჯერ არა, მაგრამ მივდივარ/ვერ გავიარე გასაუბრება	137	38,6
არა და არც მიცდია	79	22,3
სულ	355	100

კვლევის პროცესში კითხვებზე, რომლიც ეხებოდა სტუდენტების პროფესიული ტრასნფერული უნარების შეფასებას. მონაცემები 3 ჯგუფში შემდეგნაირად განაწილდა:

ცხრ.5. პროფესიული ტრასნფერული უნარების შეფასება ჯგუფების მიხედვით

	მობილობა 3 ჯგუფად	მქონდა			ჯერ არა, მაგრამ მივდივარ/ვერ გავიარე გასუბრება			არა და არც მიცდია			Total		
		M	N	SD	M	N	SD	M	N	SD	M	N	SD
1	ლოგიკური და მიზეზ-შედეგობრივი	2,05	101	1,126	1,67	110	0,879	1,72	74	1,041	1,82	285	1,025

ISSN 1512-1801

	დასკვნების გამოტანა												
2	რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება	1,64	101	1,082	1,34	110	0,770	1,74	74	1,099	1,55	285	0,990
3	დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა ჩემი სწავლის პროცესის	1,72	101	1,274	1,35	110	0,852	1,61	74	1,133	1,55	285	1,098
4	ინტერნეტ, სოციალური მედიის თუ კომპიუტერული საშუალებების გამოყენება	2,10	101	1,162	1,83	110	1,148	1,89	74	1,130	1,94	285	1,151
5	იდეის შემუშავება და მისი პრაქტიკაში განხორციელება	1,86	101	1,068	1,61	110	0,858	1,82	74	1,139	1,75	285	1,015
6	სხვადასხვა კულტურის ღირებულებების დანახვა	1,45	101	1,136	1,27	110	0,765	1,61	74	1,180	1,42	285	1,027
7	გუნდში თანამშრომლობა	1,97	101	1,109	1,55	110	0,915	1,64	74	1,028	1,72	285	1,030
8	სხვადასხვა ამოცანების და აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება	1,92	101	1,065	1,49	110	0,865	1,73	74	1,102	1,71	285	1,016
9	საკუთარი თავის შემოქმედებითად გამოხატვა	1,97	101	1,024	1,66	110	0,998	1,77	74	1,092	1,80	285	1,037

ANOVA ანალიზი მობილობის 3 ჯგუფის მიხედვით

ANOVA ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ რამდენიმე ასპექტში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა მობილობის 3 ჯგუფის ("მქონდა" ნიშნავს სტუდენტებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მობილობაში, "ჯერ არა/ვერ გავიარე გასაუბრება" ნიშნავს სტუდენტებს, რომლებსაც ჯერ არ ჰქონიათ მობილობაში მონაწილეობა, ან ვერ გადალახეს გასაუბრების ეტაპი, "არ მქონია" ნიშნავს სტუდენტებს, რომლებსაც არ ჰქონიათ მობილობაში მონაწილეობა) შორის:

1. **ლოგიკური და მიზეზ-შედეგობრივი დასკვნების გამოტანა** - $F(2, 282) = 4.133$, $p = 0.017$, $\eta^2 = 0.028$. ეს მიუთითებს, რომ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება, სადაც "მქონდა" ნიშნავს სტუდენტებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მობილობაში"; ჯგუფის მონაწილეებმა ყველაზე მაღალი საშუალო ქულა ($M = 2.05$) აჩვენეს.

ISSN 1512-1801

2. **რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება** - $F(2, 282) = 4.529$, $p = 0.012$, $\eta^2 = 0.031$. ამ კატეგორიაშიც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი განსხვავება, სადაც "მქონდა" ნიშნავს სტუდენტებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მობილობაში"; ჯგუფის საშუალო ქულა (M = 1.64) იყო ყველაზე მაღალი.
3. **დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა სწავლის პროცესის** - $F(2, 282) = 3.142$, $p = 0.045$, $\eta^2 = 0.022$. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოჩნდა, სადაც "მქონდა" ნიშნავს სტუდენტებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მობილობაში"; ჯგუფის მონაწილეებმა ყველაზე მაღალი საშუალო ქულა (M = 1.72) აჩვენეს.
4. **გუნდში თანამშრომლობა** - $F(2, 282) = 4.778$, $p = 0.009$, $\eta^2 = 0.033$. განსხვავება აღმოჩნდა ჯგუფებს შორის, სადაც "მქონდა" ნიშნავს სტუდენტებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მობილობაში"; ჯგუფის საშუალო ქულა (M = 1.97) იყო ყველაზე მაღალი.
5. **სხვადასხვა ამოცანების და აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება** - $F(2, 282) = 4.870$, $p = 0.008$, $\eta^2 = 0.033$. ამ კატეგორიაშიც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი განსხვავება, სადაც "მქონდა" ნიშნავს სტუდენტებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მობილობაში"; ჯგუფის საშუალო ქულა (M = 1.92) იყო ყველაზე მაღალი.

ცხრ.6. სოციალური და პროფესიულიუნარების შეფასება ჯგუფების მიხედვით

	მობილობა 3 ჯგუფად	მქონდა			ჯერ არა, მაგრამ მივდივარ/ვერ გავიარე გასუბრება			არა და არც მიცდია			Total		
		M	N	SD	M	N	SD	M	N	SD	M	N	SD
1	მე ვარ უფრო თავდაჯერებული და დარწმუნებული ჩემს შესაძლებლობებში	1,58	101	1,134	1,40	110	0,769	1,66	74	1,150	1,53	285	1,016
2	უკეთ ვიცი ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები	1,70	101	1,154	1,41	110	0,793	1,62	74	1,043	1,57	285	1,003
3	მეტად შემიძლია ვადაპტორდე და ვიმოქმედო ახალ სიტუაციაში	1,50	101	1,146	1,29	110	0,734	1,55	74	1,075	1,43	285	0,989
4	მეტად მაქვს კრიტიკული აზროვნების და ანალიზის უნარი	1,80	101	1,140	1,64	110	0,906	1,73	74	1,114	1,72	285	1,047
5	უფრო ტოლერანტული ვარ	1,58	101	1,116	1,56	110	0,972	1,72	74	1,104	1,61	285	1,058
6	უფრო გონებაგახსნილი ვარ და მიზიდავს ახალი გამოწვევები	1,70	101	1,196	1,48	110	0,885	1,61	74	1,070	1,59	285	1,053
7	მონაწილეობა მივიღო სოციალურ თუ	2,07	101	1,227	1,80	110	0,965	2,28	74	1,330	2,02	285	1,175

ISSN 1512-1801

	პოლიტიკურ ცხოვრებაში												
8	უფრო მეტად მაინტერესებს, თუ რა ხდება მსოფლიოში ყოველდღიურად	2,01	101	1,261	1,91	110	1,063	2,15	74	1,235	2,01	285	1,181
9	უფრო ადვილად ვიღებ გადაწყვეტილებებს	2,14	101	1,096	1,82	110	0,997	2,09	74	1,207	2,00	285	1,096
10	თანამშრომლობა: კულტურა	1,56	101	1,144	1,35	110	0,785	1,55	74	1,075	1,48	285	1,002
11	მეტად მაინტერესებს თემები, რომელიც ევროპას ეხება	1,80	101	1,200	1,58	110	0,850	1,95	74	1,145	1,75	285	1,069
12	თავს უფრო ევროპელად ვგრძნობ	1,84	101	1,172	1,88	110	1,179	2,18	74	1,186	1,94	285	1,182
13	სოციალურ, პოლიტიკურ ცნებებში გარკვევა	1,89	101	1,174	1,77	110	1,020	1,97	74	1,238	1,87	285	1,134
14	მე გავიფართოვე ჩემს სფეროში საჭირო უნარ-ჩვევები	1,78	101	1,197	1,45	110	0,820	1,53	74	0,996	1,59	285	1,019

ასევე, აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება შემდეგ ასპექტში

1. **მონაწილეობა სოციალურ ან პოლიტიკურ ცხოვრებაში** - $F(2, 282) = 3.965$, $p = 0.020$, $\eta^2 = 0.027$. აქაც "მქონდა" ნიშნავს სტუდენტებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მობილობაში"; ჯგუფმა ყველაზე მაღალი საშუალო ქულა აჩვენა ($M = 2.07$).
2. **მე მინდა ვიმუშაო საერთაშორისო მიმართულებით** - $F(2, 282) = 5.134$, $p = 0.006$, $\eta^2 = 0.035$. "მქონდა" ნიშნავს სტუდენტებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მობილობაში"; ჯგუფის მონაწილეებმა აჩვენეს ყველაზე მაღალი საშუალო ქულა ($M = 2.16$).
3. **მჯერა, რომ ახალი ან უკეთესი სამუშაოს პოვნის შანსები გაიზარდა** - $F(2, 282) = 8.599$, $p < 0.001$, $\eta^2 = 0.057$. აქაც "მქონდა" ნიშნავს სტუდენტებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მობილობაში"; ჯგუფმა ყველაზე მაღალი საშუალო ქულა აჩვენა ($M = 1.72$).
4. **მიზნები უფრო ნათელია** - $F(2, 282) = 10.279$, $p < 0.001$, $\eta^2 = 0.068$. "მქონდა" ნიშნავს სტუდენტებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მობილობაში"; ჯგუფის საშუალო ქულა ($M = 1.93$) იყო ყველაზე მაღალი.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ მობილობის მქონე მონაწილეები გამოირჩევიან უფრო მაღალი უნარებით, როგორც სწავლების, ისე სოციალური და პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები მიუთითებს, რომ მობილობის გამოცდილება შესაძლოა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდეს მონაწილეთა უნარების განვითარებაში და მათი დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებაში. მობილობის მქონე ჯგუფებმა საშუალო მაჩვენებლებით აჩვენეს უკეთესი უნარები და შესაძლებლობები, რაც მეტყველებს მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე.

ISSN 1512-1801

კვლევა ხაზს უსვამს იმას, რომ სტუდენტებისთვის ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა აძლიერებს ისეთ უნარებს, როგორიცაა:

1. პროფესიული უნარები: პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ უცხოურ უნივერსიტეტებში საგანმანათლებლო კურსებში, რომლებიც მათ პროფესიულ სფეროში სპეციალიზაციას სთავაზობს. ამით იზრდება მათი ცოდნის ბაზა და პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ კონკურენტუნარიანობას ზრდის შრომის ბაზარზე.
2. ტრანსფერული უნარები: ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობა ხელს უწყობს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების, პრობლემების გადაჭრის უნარების, კომუნიკაციის და თანამშრომლობის უნარების განვითარებას. სტუდენტებს უწევთ სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში ადაპტაცია და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ურთიერთობა, რაც აძლიერებს მათ ინტერკულტურულ კომპეტენციებს და მოქნილობას.
3. ენობრივი უნარები: მობილობის პერიოდში სტუდენტები პრაქტიკაში იყენებენ უცხო ენებს, რაც კიდევ უფრო აუმჯობესებს მათ ენობრივ უნარებს და ეფექტურ კომუნიკაციას.
4. პიროვნული განვითარების: სხვადასხვა სოციალურ და აკადემიურ გარემოში ყოფნა ზრდის სტუდენტთა დამოუკიდებლობას, პასუხისმგებლობის გრძნობას და თვითდაჯერებულობას.

დასკვნა

ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა აერთიანებს საერთაშორისო განათლების მიღებას, პროფესიული გამოცდილების შეძენას და პიროვნული უნარების განვითარებას.

სხვა კვლევების მსგავსად, მოცემული კვლევაც აჩვენებს, რომ ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამას სერიოზული წვლილი შეაქვს სტუდენტების როგორც ტრანსფერული, ისე პროფესიული უნარების განვითარებაში. ეს უნარები მოიცავს კომუნიკაციას, კულტურულ შეგნებას, თვითორგანიზაციასა და თვითდამოუკიდებლობას, რაც ხელს უწყობს სტუდენტების კარიერულ და პიროვნულ წარმატებას. ამგვარად, ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა არამარტო აკადემიურ ცოდნას აძლიერებს, არამედ სტუდენტებს ეხმარება პროფესიულად და კულტურულად გახდნენ მეტად მოქნილები, რაც გლობალურ შრომით ბაზარზე მნიშვენლოვანია. ტრანსფერული და პროფესიული უნარების გაძლიერება სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იყვნენ კონკურენტუნარიანები გლობალურ ბაზარზე და გაიუმჯობესონ კარიერული შესაძლებლობები. პროგრამის სარგებელი არა მხოლოდ სტუდენტების ინდივიდუალურ განვითარებაში, არამედ საზოგადოების პროგრესშიც აისახება.

ISSN 1512-1801

გამოყენებული ლიტერატურა

[1]. Kolb, D. A. (1984). *Experiential learning: Experience as the source of learning and development*. Prentice Hall.

[2]. Kim, Y. Y. (2001). *Becoming intercultural: An integrative theory of communication and cross-cultural adaptation*. Sage Publications.

[3]. Perkins, D. N., & Salomon, G. (1992). Transfer of learning. In *International Encyclopedia of Education*. Pergamon Press.

[4]. European Commission. (2019). *ERASMUS+ Programme Guide*. Retrieved from https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/resources/documents/erasmus-programme-guide-2019_en

[5]. European Commission. (2020). *ERASMUS+ Programme Guide*. Retrieved from https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/resources/programme-guide_en

[6]. Crossman, J. E., & Clarke, M. (2010). International experience and graduate employability: Stakeholder perceptions on the connection. *Higher Education, 59*(5), 599–613. https://doi.org/10.1007/s10734-009-9268-z

[7]. González, J., Mesanza, R. B., & Mariel, P. (2020). The impact of Erasmus on the mobility and skills of European students. *Journal of International Education Research, 16*(2), 33–42.

[8]. Jones, E. (2017). Problem-solving and decision-making in a global context: Insights from ERASMUS+ participants. *Journal of International Mobility, 5*, 23–40.

[9]. King, R., & Ruiz-Gelices, E. (2003). International student migration and the European 'Year Abroad': Effects on European identity and subsequent migration behaviour. *International Journal of Population Geography, 9*(3), 229–252.

[10]. Sosa, A., & Silva, R. (2021). Adapting to change: How ERASMUS+ enhances students' transferable and professional skills. *European Journal of Education, 56*(4), 462–478.

[11]. Souto-Otero, M., Huisman, J., Beerkens, M., de Wit, H., & Vujic, S. (2019). Barriers to international student mobility: Evidence from ERASMUS. *Studies in Higher Education, 44*(8), 1411–1424. https://doi.org/10.1080/03075079.2018.1428422

[12]. Teichler, U. (2017). Internationalisation trends in higher education and the changing role of international student mobility. *Journal of Studies in International Education, 21*(2), 95–109.

[13]. Villanova, M., & Petino, G. (2019). Beyond borders: The impact of ERASMUS+ on student employability. *Education and Training, 61*(9), 1210–1228.

Article received 2024-12-16